საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის

ბრძანება №1804
2015 წლის 11 ნოემბერი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების, საკონკურსო თემატიკის, გასაუბრების შეფასების და შეფასების ჯამური ფორმების დამტკიცების თაობაზე

,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა (დანართი №1).

მუხლი 2

დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის გასაუბრების შეფასების ფორმა №1 – დანართი №2, გასაუბრების შეფასების ფორმა №2 – დანართი №3 და კანდიდატთა შეფასების ჯამური ფორმა – დანართი №4.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი — **სოზარ სუბარი**

დანართი №1

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო თემატიკა

1. კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, ჰქონდეს უმაღლესი განათლება და ფლობდეს სახელმწიფო ენას.
2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება, ბიზნესის ადმინისტრირების ან/და სოციალური მეცნიერებების (დარგი/სპეციალობა-პოლიტიკის მეცნიერება, სოციოლოგია, ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები) ან/და სამართალმცოდნეობის მიმართულებით;

ბ) სამუშაო გამოცდილება – აუცილებელია მუშაობის 5-წლიანი გამოცდილება, მათ შორის, მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება; სასურველია სტრატეგიული დოკუმენტების, სამართლებრივი და ანალიტიკური კვლევებისა და დასკვნების მომზადების, ანგარიშების შედგენის, კვლევითი პროექტების განხორციელების/მართვის კუთხით მუშაობის, საერთაშორისო/დონორ ორგანიზაციებსა და ექსპერტებთან ურთიერთობის გამოცდილება; საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;

გ) აუცილებელია ინგლისური ენის კარგი ცოდნა;

დ) საოფისე პროგრამების, კერძოდ Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Outlook, Microsoft Office PowerPoint – კარგი ცოდნა.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;

გ) საქართველოს შრომის კოდექსი;

დ) ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი;

ე) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი;

ვ) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;

ზ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;

თ) ,,საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება;

ი) ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონი;

კ) ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილება;

ლ) ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 7 აგვისტოს №317 ბრძანება.

დანართი №2

გასაუბრების შეფასების ფორმა №1

ფასდება კანდიდატის შესაბამისობა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან. შეფასება ხორციელდება ქულებით. შეფასების საბოლოო ქულა (საშუალო არითმეტიკული) გამოითვლება ქულათა ჯამის შეფასების კრიტერიუმების რაოდენობაზე გაყოფით. 5+ -ის შეფასებისას, ქულათა ჯამურ რაოდენობას აღნიშნული ქულა არ მიემატება.
1 - მიუღებელი, 2- საშუალოზე დაბალი, 3 - კომპეტენტური, 4 - ძალიან კარგი, 5 - აჭარბებს მოლოდინს, 5+ - ზედმეტად კვალიფიციური.

ვაკანტური თანამდებობის დასახელება: _____

კანდიდატის სახელი, გვარი: _____

კომისიის წევრის სახელი, გვარი, _____:_____

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი):_____

N	შეფასების კრიტერიუმები	შეფასების ქულა	კომისიის წევრის კომენტარი
1.	განათლება/კვალიფიკაცია		
2.	სამუშაო გამოცდილება		
3.	სამართლებრივი აქტების ცოდნა		
4.	სამოტივაციო წერილი (მუშაობის დაწყების მოტივაცია)		
შეფასების საშუალო არითმეტიკული ქულა			

კომისიის წევრის ხელმოწერა:_____

დანართი №3

გასაუბრების შეფასების ფორმა №2

ფასდება კანდიდატის პიროვნული უნარ-ჩვევები. შეფასება ხორციელდება ქულებით. შეფასების საბოლოო ქულა (საშუალო არითმეტიკული) გამოითვლება ქულათა ჯამის შეფასების კრიტერიუმების რაოდენობაზე გაყოფით. 5+ -ის შეფასებისას, ქულათა ჯამურ რაოდენობას აღნიშნული ქულა არ მიემატება.

1 - მიუღებელი, 2 - საშუალოზე დაბალი, 3 - კომპეტენტური, 4 - ძალიან კარგი, 5 - აჭარბებს მოლოდინს, 5+ - ზედმეტად კვალიფიციური.

ვაკანტური თანამდებობის დასახელება: _____

კანდიდატის სახელი, გვარი: _____

კომისიის წევრის სახელი, გვარი: _____

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი):_____

N	შეფასების კრიტერიუმები	შეფასების ქულა	კომისიის წევრის კომენტარი
1.	ზეპირი კომუნიკაციის უნარი		
2.	წერილობითი კომუნიკაციის უნარი		
3.	დროის მართვის უნარი		
4.	ანალიტიკური აზროვნების უნარი		
5.	დეტალებზე ორიენტირებულობა		
6.	კარიერული მიზნები		
შეფასების საშუალო არითმეტიკული ქულა			

კომისიის წევრის ხელმოწერა:_____.

დანართი №4

კანდიდატთა შეფასების ჯამური ფორმა

შეფასების ჯამური ქულა დაითვლება გასაუბრების შეფასების (დანათი №1, დანართი №2) საშუალო არითმეტიკულ ქულათა მიმატებით.

საკონკურსო პოზიციის დასახელება:_____

N	კანდიდატის სახელი, გვარი	შეფასების ჯამური ქულა

1. კომისიის თავმჯდომარე (სახელი, გვარი), თარიღი:_____

2. კომისიის წევრი (სახელი, გვარი), თარიღი:_____

3. კომისიის წევრი (სახელი, გვარი), თარიღი:_____

4. კომისიის წევრი (სახელი, გვარი), თარიღი:_____

5. კომისიის წევრი (სახელი, გვარი), თარიღი:_____.